საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება

(2017 წლის იანვარი - 2018 წლის ივლისი)

თბილისი
2018

კვლევის ხელმძღვანელი

ლიკა საჯაია

კვლევის ავტორები

თამარ ტატანაშვილი

გიორგი თოფურია

Sweden/შვედეთი
Sverige

კვლევა მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით

სარჩევი

შესავალი 4

თავი 1. ძირითადი მიგნებები 4

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია 6

თავი 3. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციები და შემადგენლობა 6

თავი 4. საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობები 10

4.1 გენდერული თანასწორობის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების ჩამოყალიბება (კონცეფციის, სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიის შემუშავება) 10

4.2 კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, ინიციატივებზე მუშაობა და ადვოკატირება 12

4.3 ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა 17

4.4 ზედამხედველობის განხორციელება 18

4.5 საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა 19

თავი 5. საერთაშორისო პრაქტიკა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ 19

5.1 ისლანდია 22

5.2 ფინეთი 23

5.3 დანია 23

თავი 6. შეფასება და რეკომენდაციები 23

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" საპარლამენტო მონიტორინგის პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა მოიცავს გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდეგში - საბჭო) საქმიანობას (2017 წლის იანვარი[1] - 2018 წლის ივლისი) და გენდერული თანასწორობის მიმართულებით პარლამენტის მხრიდან განხორციელებულ ძირითად აქტივობებს.

გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტში შექმნილი მუდმივმოქმედი ორგანოა, რომლის განხორციელებული საქმიანობა მნიშვნელოვანია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პროცესის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შეფასებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა რამდენიმე ასპექტის მიმართულებით, კერძოდ, როგორ ხორციელდება: კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, ახალი ინიციატივების ადვოკატირება, საზედამხედველო ფუნქცია და როგორია საბჭოს საქმიანობის გამჭირვალობის ხარისხი. ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია საბჭოს მხრიდან ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ.

კვლევა მოიცავს გენდერული თანასწორობის საკითხებზე ინსტიტუციური მექანიზმების შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებსაც.

თავი 1. ძირითადი მიგნებები

საანგარიშო პერიოდში **გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისას შემდეგი პოზიტიური ტენდენციები** გამოიკვეთა:

- მოქმედი საბჭოს საქმიანობა წინა მოწვევის პარლამენტის საბჭოსთან შედარებით, გაუმჯობესდა როგორც ახალ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობის, ასევე მოქმედი კანონმდებლობის გენდერული ანალიზის მიმართულებით;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავება[2];
- საბჭოს მიერ გახმაურებულ შემთხვევებზე რეაგირება განცხადებით[3] და პარლამენტის წევრის კითხვის უფლების გამოყენებით (მაგ. თბილისში 4 შვილის დედის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით);
- საბჭოს მიერ საკანონმდებლო წინადადებების და ინიციატივების გენდერული ანალიზისათვის მეთოდოლოგიის შემუშავება

1 მე-9 მოწვევის გენდერული თანასწორობის საბჭო 2017 წლის 5 იანვარს შეიქმნა

2 წინა მოწვევის პარლამენტის საბჭოს სამოქმედო გეგმა, როგორც დამოუკიდებელი სახელმძღვანელო დოკუმენტი არ ჰქონდა.

3 საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის განცხადება ოჯახში ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით https://goo.gl/Y83MjR; საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის განცხადება გაერო-ში საქართველოს ახალგაზრდობის ყოფილი წარმომადგენლის მიმართ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ძალადობრივ განცხადებებთან დაკავშირებით https://goo.gl/Ccr3aB

- საბჭოს დებულებით განისაზღვრა, რომ საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის/სამდივნოს თანამშრომელი განახორციელებს საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

კვლევის პროცესში **გამოიკვეთა შემდეგი სახის გამოწვევები**:

- საბჭოს არ განუხორციელებია 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საპილოტე გენდერული ანალიზი, რაც სამოქმედო გეგმით ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენდა[4];

- სრულად ვერ შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება - ხუთის ნაცვლად, მხოლოდ ორი კანონპროექტის გენდერული ზეგავლენის შეფასება განხორციელდა;

- გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში არ მომხდარა საკანონმდებლო ცვლილებების ნაწილის ინიცირება (მაგ., შრომის კოდექსში ცვლილება, სტამბოლის კონვენციიდან გამომდინარე საკანონმდებლო ინიციატივები).

საანგარიშო პერიოდში **პარლამენტის**, როგორც საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით აქტიური და დისკუსიებით დატვირთული იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი საკანონდებლო ცვლილებების განხილვის პროცესი:

- კონსტიტუციაში განისაზღვრა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად[5]

- პარლამენტმა "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის" (სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირება განახორციელა, რომლის შესაბამისად ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში, მათ შორის *სისხლის სამართლის კოდექსში* განისაზღვრა ადევნებისთვის პასუხისმგებლობა, დანაშაულებისათვის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად ასევე ჩაითვლება გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი. *გენდერული თანასწორობის შესახებ* კანონში განხორციელებული ცვლილებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

- პარლამენტში განიხილებოდა კანონპროექტი საკანონდებლო ორგანოში გენდერული ნიშნით კვოტირებასთან დაკავშირებით, რომელსაც დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საბჭოსთან მიმართებით პარლამენტის ახალი რეგლამენტის პროექტში გათვალისწინებული ცვლილებები, კერძოდ:

- ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, საბჭოს თემატური მოკვლევის ჩატარების უფლებამოსილება ენიჭება;

---

4 სამოქმედო გეგმით ამ ვალდებულების შემსრულებლად განისაზღვრა: გენდერული თანასწორობის საბჭო, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. იხ. 2017 წლის სამოქმედო გეგმა, ვალდებულება 1.5 https://goo.gl/CtGCgH

5 საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი, ამოქმედდება საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე https://goo.gl/EtVMfB

- საბჭოს სამდივნო ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ყალიბდება.

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში შესწავლილია IX მოწვევის პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2017 წლის იანვრიდან 2018 წლის 29 ივლისის ჩათვლით პერიოდის საქმიანობა. ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია ამავე პერიოდში, გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

კვლევა ეფუძნება პარლამენტიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას, ასევე პარლამენტის ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ნორმატიული კვლევის მეთოდი, რომლის შესაბამისადაც შესწავლილია ბოლო პერიოდში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები. შედარებითი კვლევის მეთოდით შესწავლილია გენდერული თანასწორობის საბჭოს მსგავსი ინსტიტუციები და მათი უფლებამოსილებები საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე. კერძოდ, წარმოდგენილია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული რეგულაციები და ინსტრუმენტები სამ ქვეყანაში (ისლანდია, ფინეთი და დანია) რომელთაც საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ მსოფლიოს მასშტაბით გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომდგენლებთან, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ გენდერული თანასწორობის თემატიკაზე.[6]

თავი 3. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციები და შემადგენლობა

პარლამენტის როლი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული. პარლამენტი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას, აკონტროლებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას.[7] გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად კი პარლამენტი ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს. დებულების შესაბამისად, საბჭოს ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

6 ინტერვიუებისთვის წინასწარ მომზადდა სავარაუდო კითხვების მონახაზი. ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ ორგანიზაციებთან: „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, „საფარი“, „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის/საქართველო“. ასევე გენდერული თანასწორობის თემატიკაზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებს ელექტრონულად გაეგზავნათ კითხვარი.

7 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 12, https://goo.gl/fm6i9s

- პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის ხელშეწყობა;
- საქართველოს კანონმდებლობის გენდერული ანალიზის განხორციელება და კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება;
- საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზის უზრუნველყოფა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობა;
- საჭიროების შემთხვევაში, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა საქართველოს პარლამენტში დაბარება და მათგან ინფორმაციის მიღება;
- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის მოსმენა.[8]

საკანონდებლო ორგანომ გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობა 2004 წლიდან დაიწყო, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა. 2010 წელს კი მიღებულ იქნა ახალი კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელსაც მოჰყვა ცვლილებები პარლამენტის რეგლამენტში და გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტის მუდმივმოქმედ ორგანოდ ჩამოყალიბდა[9].

IX მოწვევის პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭომ საქმიანობა დაიწყო 2017 წლის 5 იანვარს, კერძოდ დამტკიცდა მისი შემადგენლობა და 2017 წლის 16 თებერვალს მიიღეს დებულება. საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თამარ ჩუგოშვილი. საბჭოს 17 წევრიდან 14 არის ქალი[10]. აღსანიშნავია რომ, 2016 წლის არჩევნების შედეგად პარლამენტში **150 წევრიდან 23 ქალი, რაც საერთო შემადგენლობის 15.3 %.**[11]–გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მაჩვენებლით, 144 ქვეყანას შორის საქართველო **94**-ე ადგილზეა[12].

---

8 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება, https://goo.gl/BjMZyA

9 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს შესახებ https://goo.gl/gMUHJy

10 საბჭო შედგება პარლამენტის არანაკლებ 10 წევრისაგან, რომლებიც შეირჩევიან პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური პარტიის წევრთა პროცენტული რაოდენობის პროპორციულად. წევრის შერჩევისას გაითვალისწინება გენდერულ თემებზე საბჭოს წევრობის კანდიდატის ინფორმირებულობა ან/და მუშაობის გამოცდილება. იხ. საბჭოს დებულება https://goo.gl/cbxsRT

11 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მანდატზე უარი თქვა სანდრა რულოვსმა, მის ადგილმონაცვლედ პარლამენტის წევრი გახდა გიორგი ღვინიაშვილი

12 World Economic Forum, The Global Gender Gap Report 2017, https://goo.gl/SEoSJt.

დიაგრამა 1. საბჭოს შემადგენლობის განაწილება სქესის მიხედვით

დიაგრამა 2. საბჭოს პოლიტიკური შემადგენლობა



დიაგრამა 3.პარლამენტში დეპუტატების განაწილება სქესის მიხედვით

დიაგრამა 4. პარლამენტის თანამდებობის პირთა[13] განაწილება სქესის მიხედვით



საბჭოს საქმიანობის ფარგლებში შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფი გენდერული თანასწორობის თემატიკაზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შემადგენლობით. საკონსულტაციო ჯგუფის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფების შექმნა სხვადასხვა მიმართულებით, მაგ. საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობა, ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერება.

წინა მოწვევის პარლამენტში გენდერული საბჭოს აპარატი 1 ადამიანისგან შედგებოდა, რომელიც ძირითად საქმიანობასთან ერთად საბჭოს აპარატის თანამშრომლის ფუნქციასაც ითავსებდა. IX მოწვევის პარლამენტში საბჭოს დებულებით განისაზღვრა ცალკე თანამშრომელი საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფისთვის. კერძოდ, საბჭოს საქმიანობის ეფექტიან ორგანიზებაში საბჭოს თავმჯდომარეს ხელს უწყობს მისი კაბინეტის/სამდივნოს თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, აგრეთვე მუშაობს მისი საქმიანობის თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამრიგად, საბჭოს ჰყავს სამდივნო, რომელიც მოიცავს მის ხელმძღვანელს/კოორდინატორს და ეროვნული-დემოკრატიული ინსტიტუტის სტაჟიორს. აგრეთვე, სამდივნოს დაგეგმილი ღონისძიებების გატარებაში მხარს უჭერენ საბჭოს წევრების თანაშემწეები.

გენდერულ საბჭოსთან მიმართებით პოზიტიურ ცვლილებებს ითვალისწინებს პარლამენტის ახალი რეგლამენტის პროექტი, რომლის თანახმად საბჭოს სამდივნო პარლამენტის სტრუქტურულ ერთეულად ყალიბდება[14].

პარლამენტთან ერთად გენდერული თანასწორობის სფეროში ინსტიტუციურ მექანიზმს

13 პარლამენტის თანამდებობის პირები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე; პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები; კომიტეტის თავმჯდომარე; უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები; ფრაქციის თავმჯდომარე; საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარეები; კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები; პარლამენტის აპარატის უფროსი. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 104-ე მუხლი, https://goo.gl/B452GK

14 რეგლამენტის პროექტი მიღებულია პირველი მოსმენით, იხ. https://goo.gl/yKJDGU

წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებაში 2017 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში" განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შექმნილი სტრუქტურა- *გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია*. კომისიის მიზანია აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთიანი საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება[15]. კომისიასთან თანამშრომლობს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის ფარგლებშიც იმართება საკოორდინაციო შეხვედრები. საბჭო ასევე ისმენს კომისიის საქმიანობის ანგარიშს[16].

თავი 4. საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობები

საანგარიშო პერიოდში საბჭო 5-ჯერ შეიკრიბა.[17] მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საბჭოს სხდომებზე პარლამენტის წევრებთან ერთად, რეგულარულად მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები. გარდა ამისა, დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან საბჭო ატარებს საკოორდინაციო შეხვედრებს, სადაც ხდება მათთვის სამოქმედო გეგმის გაცნობა და კონკრეტულ საკითხებზე პასუხისმგებელი მხარეების განსაზღვრა.

საბჭოს საქმიანობის შეფასებისას კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს საბჭოს აქტივობა შემდეგი მიმართულებებით:

- სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების განსაზღვრის ხელშეწყობა
- კანონმდებლობის გენდერული ანალიზი
- ახალ ინიციატივებზე მუშაობა
- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობა და მონიტორინგი
- გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდება და გამჭვირვალობა

4.1 გენდერული თანასწორობის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების ჩამოყალიბება (კონცეფციის, სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიის შემუშავება)

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ერთიანი ხედვის არსებობა, რაც სახელმწიფო **კონცეფციაში** უნდა იყოს ასახული. კონცეფცია ქალთა და გენდერული

15 ამ ცვლილებიდან გამომდინარე (უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შემდეგ) საქართველოს მთავრობასთან არსებული ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭომ შეწყვიტა დამოუკიდებლად არსებობა, ვინაიდან მის ფუნქციები შეითავსა უწყებათაშორისმა კომისიამ.

16 გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე ნაწილები https://goo.gl/nJzsXW; საბჭოს დებულების მე-3 მუხლი https://goo.gl/BWZq94.

17 საქართველოს პარლამენტი, გენდერული თანანსწორობის საბჭოს სხდომის ოქმები, https://goo.gl/TAs29u.

თანასწორობის საკითხებში ძირითადი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია და მისი შემუშავება და ინიცირება სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს. პირველი კონცეფცია შემუშავებულია 2006 წელს.

IX მოწვევის პარლამენტში კონცეფციის პროექტი საბჭომ 2017 წლის ბოლოს მოამზადა, რომელიც იანვარში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს საბჭოს წევრებმა, რის შემდეგაც კონცეფციის პროექტი სამოქალაქო საზოგადოების წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს წარედგინა. აღნიშნული პროექტის ინიცირება არ განხორციელებულა. საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნულ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს და იგეგმება ინიცირება. კონცეფციის პროექტი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: დისკრიმინაციის სფერო, ძალადობასთან ბრძოლოს საკითხები, მშვიდობა და უსაფრთხოება, ცნობიერების ამაღლება და განათლება, პოლიტიკის სფერო, სოციალურ-ეკონომიკური სფერო, ჯანდაცვა, კულტურა და სპორტი.

ასევე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს საბჭოს **სამოქმედო გეგმა.** VIII მოწვევის პარლამენტის სამოქმედო გეგმა, როგორც დამოუკიდებელი სახელმძღვანელო დოკუმენტი, არ დაუმტკიცებია. გენდერულ საკითხებზე პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებებზე შემუშავებული იყო 2014-2016 წლების ერთიანი სამოქმედო გეგმა.

IX მოწვევის გენდერული თანასწორობის საბჭომ 2017 წლის აპრილში 2017 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, რომლის შესრულების ანგარიშიც პერიოდულად წარედგინებოდა საზოგადოებას. გეგმის 6 თვის შესრულების ანგარიში პარლამენტის წევრებმა, აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოისმინეს, ხოლო 2018 წლის 10-11 იანვრის საბჭოს გასვლით სხდომაზე საბჭოს 2017 წლის სამოქმედო გეგმის სრული ანგარიში მოისმინეს. 2018 წლის აპრილში საბჭომ კი 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

ორივე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მნიშვნელოვან აქტივობებს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით, ძირითად ამოცანებს, განსახორციელებელ აქტივობას, შესრულების ინდიკატორსა და ვადას.

2017 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 4 ძირითად ამოცანასა და 29 შესასრულებელ აქტივობას. 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა 4-ის ნაცვლად 6 ამოცანას ითვალისწინებს, **სიახლეა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერებისაკენ მიმართული აქტივობები**. წინა გეგმის მსგავსად, მიმდინარე სამოქმედო გეგმა მოიცავს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის მიღების მხარდაჭერას, ასევე საკანონდებლო ცვლილებებს, რომელიც შეეხება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერას, სექსუალურ შევიწროებასთან, ფემიციდთან დაკავშირებულ საკითხებს.

სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენდა **კომუნიკაციების სტრატეგიის** შემუშავება. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების კომუნიკაციის სტრატეგია 2018 წლის იანვარში საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა. დოკუმენტზე მუშაობა 2017 წლის შემოდგომაზე დაიწყო.

საბჭოს საქმიანობის დაგეგმვისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით მნიშვნელოვანი იყო გენდერული თანასწორობის მიმართულებით კომპლექსური **კვლევის** „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები" ჩატარება, რომელიც საბჭოს ინიციატივით და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით 2017

წელს განხორციელდა[18] კვლევის საფუძველზე გამოვლენილ საკითხებს ეფუძნება სახელმწიფო კონცეფცია და საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში მნიშვნელოვანია პარლამენტის **გენდერული აუდიტის** განხორციელების საკითხი, ამ მხრივ „ღია პარლამენტის" ვალდებულებიდან გამომდინარე პარლამენტი 2018 წელს ახორციელებს თვითშეფასებას, რომლის ნაწილიც არის პარლამენტის გენდერული თვითშეფასების პროცესი. აღნიშნული საკითხი საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს.

4.2 კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, ინიციატივებზე მუშაობა და ადვოკატირება

4.2.1 საბჭოს მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივებზე

საბჭო მუშაობს სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებაზე, კერძოდ: შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებებზე, სექსუალური შევიწროების, დეკრეტული შვებულების, შრომის თანაბარი ანაზღაურებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის გადახედვის საკითხზე. საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობა მიმდინარეობს თემატური ჯგუფების ფარგლებში.

საბჭოს ინფორმაციით, შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები მომზადებულია. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით ცვლილებები კი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საბჭოსთან თანამშრომლობის საფუძველზე მომზადდა (ინიციატორი: მთავრობა).

4.2.2 კანონმდებლობის გენდერული ანალიზის განხორციელება

საბჭოს მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს არსებული საკანონმდებლო რეგულაციების და ასევე ახალი ინიციატივების გენდერული ანალიზი.

2017 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა გენდერულ თანასწორობასთან და ქალთა უფლებებთან დაკავშირებული 5 საკანონმდებლო წინადადებების ან ინიციატივების საპილოტე გენდერული ანალიზის განხორციელებას. საბჭოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად 2017 წლის მანძილზე, საპილოტე პროგრამის ფარგლებში, გენდერული გავლენის ანალიზი 2 კანონპროექტზე[19] ჩატარდა.

საბჭოს ინიციატივით 2017 წელს გენდერული გავლენის შეფასების (GIA) პილოტირების პროგრამა დაიწყო, რომლის ფარგლებში შეიქმნა პარლამენტის აპარატის თანამშრომლებისგან შემდგარი 2 სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფებმა ნარკოპოლიტიკის და შრომის კანონმდებლობის რეფორმების გენდერული ანალიზი განახორციელა.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ კანონპროექტთა პაკეტის ანალიზის განმახორციელებელი ჯგუფის

18 კვლევა „გენდერული თანასწორობა საქართველოში - ბარიერები და რეკომენდაციები" გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და PROLoG/USAID-ის მხარდაჭერით. კვლევა იხ. აქ: https://goo.gl/SLFYR4

19 ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებულ კანონპროექტსა და შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებზე. შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების ინიცირება არ მომხდარა.

შემადგენლობაში იყო ადგილობრივი ექსპერტები, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების აპარატის თანამშრომლები გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლებთან ერთად. ანალიზის პროცესში განსაზღვრული კრიტერიუმით გენდერული გავლენის შეფასებამ აჩვენა, რომ წარმოდგენილ რეფორმას შეუძლია ნარკოპოლიტიკის სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობის შემცირება. რეფორმის სრულყოფილად გატარების შემთხვევაში: მცირდება ნარკომომხმარებლის რაოდენობა, მცირდება ნარკოტიკის ინექციური წესით მოხმარებით გამოწვეული ინფექციური დაავადებების რაოდენობა, ქალები მეტად ერთვებიან სამკურნალო სერვისებში, იზრდება ნარკოდამოკიდებულების სამკურნალო სერვისების ხარისხი და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, უმჯობესდება ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისათვის პასუხისგებაში მიცემული პირების უფლებრივი მდგომარეობა, მცირდება ქალზე ძალადობის ფაქტები. წარმოდგენილი კანონპროექტთა პაკეტის გახილვა პარლამენტში გაჩერებულია ინიცირების ეტაპზე.

შრომის კანონმდებლობის გენდერული ანალიზი კომიტეტების აპარატის, საბიუჯეტო ოფისისა და მოწვეული კონსულტანტის მიერ განხორციელდა 2017 წლის ნოემბერში[20]. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციები ამ დროისათვის არ არის პარლამენტში ინიცირებული. გენდერული ანალიზის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები წინასახელშეკრულებო პერიოდის რეგულირებისთვის, სტაბილური სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად, სამუშაოს ხანგრძლივობის რეგულირებისა და მისი ადაპტირებისთვის მშობლის ვალდებულებებთან, პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად, თანაბარი ანაზღაურების საკითხის რეგულირებისთვის, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე შესაბამისი რეაგირებისთვის.

საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გენდერული გავლენის ანალიზზე ტრენინგი ჩაუტარდა ყველა საპარლამენტო კომიტეტის თანამშრომელს და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს. გენდერული გავლენის ანალიზის პროცესი 2017 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე მიმდინარეობდა.

საბჭოს 2018-2020 წლების გეგმით გათვალისწინებულია კანონმდებლობის გენდერული გავლენის ანალიზის შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია, ხოლო 2018 წლის მეორე ნახევარში იგეგმება კომიტეტების მხრიდან უშუალოდ კანონპროექტების ანალიზის განხორციელება.

4.2.3 სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელება

კანონმდებლობის ანალიზის მიმართულებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის განხორციელების საკითხი. მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, 2018 წლის დასაწყისიდან, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა მუშაობა დაიწყო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიაზე, აპრილში კი პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა დეპუტატებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს წარუდგინა კვლევა „სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში," რომლის ფარგლებშიც საბიუჯეტო ოფისმა შეიმუშავა გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი. მათ ასევე ჩამოაყალიბეს ცალკეული კატეგორიები, რომელზე დაფუძნებითაც შეაფასეს საბიუჯეტო პროგრამები. საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, გენდერული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მიეწოდა მთავრობას, რომლის ეფექტიანად იმპლემენტაციისათვის სამინისტროებს ჩაუტარდათ ტრენინგი და მომავალი წლის ბიუჯეტის შემუშავებისას მეთოდოლოგია გათვალისწინებული იქნება.

20 აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით

რაც შეეხება უშუალოდ საბჭოს მხრიდან ბიუჯეტის გენდერულ ანალიზზე მუშაობას, საბჭომ საბიუჯეტო ოფისთან ერთად მოამზადა მოსაზრებები 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაგეგმვის ეტაპზე ყურადღება იყოს გამახვილებული გენდერულად სენსიტიური პროგრამების იდენტიფიცირებასა და აღნიშნული პროგრამების შეფასების ინდიკატორების ფორმირების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებაზე. აღნიშნული წარმოადგენს წინაპირობას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი შესაბამისობაში იქნება გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან და შესაბამისი პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები უზრუნველყოფს გენდერულ ასპექტში სახელმწიფო რესურსების სწორად განაწილებას.

2017 წლის სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენდა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გენდერული ანალიზი, რაც არ განხორციელებულა.

4.2.4 პარლამენტის მიერ მიღებული ინიციატივები

საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინიციატივებზე იმსჯელა[21], რომელთა ნაწილს მხარი დაუჭირეს დეპუტატებმა, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე კვლავ არ არის პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული.

▶ ე. წ. „სტამბოლოს კონვენციიდან" გამომდინარე ცვლილებები

მიღებული ინიციატივებიდან აღსანიშნავია ე.წ. სტამბოლის კონვენციიდან გამომდინარე ცვლილებების განხორციელება.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა კანონის მოქმედების სფერო და იგი მოიცავს არა მარტო ოჯახის ფარგლებს, არამედ, ზოგადად, ქალის მიმართ გამოვლენილ ძალადობას.

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა, მათ შორის:

- განისაზღვრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იძულებითი სტერილიზაციისათვის;
- განხორციელდა ქალის გენიტალიების დასახიჩრების კრიმინალიზაცია;
- განისაზღვრა ადევნებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;
- დანაშაულებისათვის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

---

21 ვრცლად იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", IX მოწვევის პარლამენტის მიერ განხილული კანონპროექტები ქალთა უფლებრივი გაძლიერების მიმართულებით, 12 თებერვალი, 2018, https://goo.gl/w8gS4p

- **ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში ცვლილება**

პარლამენტმა, ასევე, მხარი დაუჭირა საბჭოს წევრების ინიციატივას „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი მთავრობის მხრიდან ეროვნული რეფერალური პროცედურების[22] შესახებ დადგენილების მიღებისათვის. ოჯახში ძალადობის საკითხებთან ერთად, საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოში მოექცა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებიც.

- **„იურიდიული დახმარების შესახებ" კანონში ცვლილება**

ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით პარლამენტმა მხარი დაუჭირა ინიციატივას (ინიციატორი: საბჭოს თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი, ავტორი: სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური) იურიდიული დახმარების შესახებ და ადვოკატთა შესახებ კანოში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებებით გაფართოვდა იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად კანონით გათვალისწინებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან.

4.2.5 ინიციატივები, რომლებსაც პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა

- **გენდერული კვოტირების შესახებ 30 000 ამომრჩევლის ინიციატივა**

დისკუსიისა და განხილვის საგანი იყო ინიციატივები ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის შესახებ[23]. გენდერული კვოტირების, როგორც სპეციალური დროებითი მექანიზმის შემოღების შესახებ მოწოდება არაერთხელ გაჟღერდა IX მოწვევის პარლამენტში არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო და სამუშაო ჯგუფების მიერ. *საბჭო მხარს უჭერს გენდერული კვოტირების დაწესებას.* აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა თანამშრომლობა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფორმატშიც.[24]

---

22 ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერალური პროცედურები განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა შესაბამისი სუბიექტების დროული, კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის საკითხებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პირველად იდენტიფიკაციასთან, გამოვლენასთან, მათ დაცვასთან, დახმარებასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

23 VIII მოწვევის პარლამენტშიც აქტიური განხილვის საგანი იყო გენდერული კვოტირების შესახებ ინიციატივა და საკანონმდებლო წინადადება, რომელსაც მხარს უჭერდა არაერთი პოლიტიკური თანამდებობის პირიც. უმრავლესობის დეპუტატების საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, პროპორციულ საარჩევნო სიაში ყოველ სამ დეპუტატში ერთი უნდა ყოფილიყო განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, ხოლო ქალთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებით, პროპორციულ სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა შეეყვანათ. უმრავლესობის წევრების საკანონმდებლო ინიციატივას იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა, ხოლო პლენარულ სხდომაზე განხილვის შემდეგ საბოლოო კენჭისყრა არ გამართულა. რაც შეეხება ქალთა საინიციატივო ჯგუფის საკანონმდებლო წინადადებას, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მოიწონა იგი, თუმცა იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მას მხარი არ დაუჭირა. შესაბამისად, მისი საკანონმდებლო ინიციატივად ჩამოყალიბება არ მოხდა.

24 იხ. ბ. პატარაია, „პოლიტიკა ქალების გარეშე - კვოტები, როგორც გამოსავალი", რიგა/თბილისი, 2015, https://goo.gl/2bHX8x; „გენდერული კვოტირება ისევ დღის წესრიგშია", რადიო თავისუფლება, 12 ივნისი, 2017, https://goo.gl/UrqnUC.

2017 წელს პარლამენტს წარედგინა 30 000 ამომრჩევლის ინიციატივა **გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით**[25] (ავტორი - ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის სამუშაო ჯგუფი - Task force) ინიციატივა ითვალისწინებდა საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიების ვალდებულებას პარტიულ სიაში წარადგინონ ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი. გენდერული კვოტირების შესახებ მსჯელობა გაიმართა ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო შეხვედრის ფარგლებშიც.[26] პარლამენტმა, 30 000 ამომრჩევლის ინიციატივას პირველი მოსმენის განხილვის ეტაპზე 66 ხმით 14-ის წინააღმდეგ მხარი არ დაუჭირა.

საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, პარლამენტი კვლავ დაუბრუნდება აღნიშნული საკითხის განხილვას უახლოეს მომავალში.

▶ ინიციატივა სექსუალური შევიწროების შესახებ

სექსუალური შევიწროების[27], როგორც სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის აკრძალვის მოთხოვნით, პარლამენტს მოქალაქეთა პეტიცია წარედგინა.[28]

სექსუალური შევიწროების რეგულირება საერთაშორისო აქტებშიც გვხვდება. კერძოდ, ევროკავშირის დირექტივა განსაზღვრავს სექსუალური შევიწროების ცნებას, როგორც არასასურველი, სექსუალური ხასიათის, ვერბალური ან არავერბალური ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ღირსების შელახვას, ან განსაკუთრებით მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, ან ძალადობრივი გარემოს შექმნას.[29]

პეტიციის შესწავლისა და განხილვის მიზანშეწონილობაზე პარლამენტის კომიტეტებმა იმსჯელეს. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა საკითხი შინაარსობრივი მომზადების მიზნით გენდერული თანასწორობის საბჭოს გადაუგზავნა[30]. მოგვიანებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა აღნიშნულ საკითხზე დასკვნა მოამზადა და მიუთითა, რომ პეტიციით გათვალისწინებული საკითხი მთავრობის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებში რეგულირდებოდა. პროექტის მიზანს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ნორმების დახვეწა და სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრება. ინიციატივა პირველი მოსმენის ეტაპზეა.

---

25 30 000 ამომრჩევლის (ავტორი:ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის სამუშაო ჯგუფი (Task force)) ინიციატივა საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ https://goo.gl/E5KVtN.

26 საქართველოს პარლამენტი, „გენდერული თანასწორობის საბჭომ სამუშაო შეხვედრაზე გენდერული კვოტირების საკითხზე იმსჯელა", 16.08.2017, https://goo.gl/TRFbRE.

27 სექსუალური შევიწროებას განმარტავენ როგორც „ადამიანთან არასასურველ ნებისმიერი სახის ინტერაქციას, რომელიც გამოწვეულია მისი გენდერული იდენტობით (ან ნაგულისხმევი გენდერული იდენტობით), სექსუალური ორიენტაციით ან გენდერული თვითგამოხატვით და მიზნად ისახავს ან იწვევს მსხვერპლის გაბრაზებას, შეწუხებას, შეშინებას, დამცირებას ან/და იწვევს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ძალადობრივი ან/და მტრული გარემოს შექმნას. ვრცლად იხ. კავშირი „საფარი", სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში: საკანონმდებლო პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2017, https://goo.gl/dP732G

28 იხ. http://netgazeti.ge/news/228323/

29 იხ. Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council https://goo.gl/8qz2Hq

30 საქარველოს პარლამენტი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა, 07.11.2017 https://goo.gl/F65Mm5

4.3 ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა

საბჭოს საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენდა ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, რომელიც თავის მხრივ 2017 წლის და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით არის გათვალისწინებული.

2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო:

- ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობის მიღება;
- თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან;
- პარლამენტის საიტზე ქალი პარლამენტარების და მათი საქმიანობის შესახებ სპეციალური ველის შექმნა და მისი ორგანიზების მხარდაჭერა;
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობის მიღება;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის გაცნობა პარლამენტისთვის და ფართო საზოგადოებისთვის.

საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ თემატიკის ფარგლებში სხვადასხვა შეხვედრა გაიმართა საქართველოს რეგიონებში. საბჭოს წევრები ასევე მონაწილეობას იღებდნენ დისკუსიებსა და კონფერენციებში, რომლებიც შეეხებოდა სექსუალური შევიწროების კუთხით არსებულ გამოწვევებს, 2017 წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მექანიზმებს, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხს, ადრეულ ქორწინებასა და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებს.

2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაც ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ აქტივობებს, კერძოდ მის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სავალდებულო გენდერული კვოტირების მისაღებად საჭირო ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების მხარდაჭერა;
- თემატური საჯარო შეხვედრების გამართვა საქართველოს რეგიონებში;
- ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობის მიღება;
- თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან;
- ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ფემიციდის შემთხვევებზე მომუშავე პირების (გამოძიება, სასამართლო, პროკურატურა, იურიდიული დახმარება) ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა;
- სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

- საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების და/ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში აქტიური ჩართულობა.

საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებებით გენდერული საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დისკუსიებში, შეხვედრებსა და კონფერენციებში. სხვადასხვა თემატური შეხვედრები გაიმართა საქართველოს რეგიონებში. შეხვედრები შეეხებოდა გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, ოჯახში ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებს, ადგილობრივ ხელისუფლებაში გენდერული თანასწორობის მიმართულების განვითარებასა და გაძლიერებას. ასევე სექსუალურ შევიწროებას, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას, დეკრეტული შვებულების, ნაადრევი ქორწინების, სელექციური აბორტის საკითხებს. საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების და/ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში ჩართულობის მიმართულებით საბჭოს თავმჯდომარემ რიგით მეოთხე ყოველწლიურ კონფერენციაზე ისაუბრა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი და ცენტრალური თვითმმართველობის დონეზე ქალთა ძალიან დაბალ წარმომადგენლობაზე, თანასწორი შრომისთვის ქალებისა და კაცების ანაზღაურებაში დაახლოებით 40 %-იანი სხვაობის, ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის შესახებ.

4.4 ზედამხედველობის განხორციელება

კანონმდებლობის შესაბამისად, საბჭოს აქვს უფლებამოსილება განახორციელოს ზედამხედველობა ანგარიშვალდებულ ორგანოებსა და პირთა საქმიანობაზე. ამ მიმართულებით დადებითად უნდა შეფასდეს რეგლამენტის ახალი პროექტით გათვალისწინებული საბჭოს უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნას და თემატური მოკვლევის ჩატარებას.[31]

მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების ფარგლებში საბჭო ისმენდა სამთავრობო ანგარიშებსა და ინფორმაციას. კერძოდ:

- 2017 წლის 13 ივნისს, საბჭოს რიგით მეორე სხდომაზე საბჭომ მოისმინა ინფორმაცია **საქართველოს მთავრობის** 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" განხორციელების მდგომარეობის შესახებ

- 2017 წლის 13 ივნისს, გენდერული თანასწორობის საბჭოს რიგით მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა შუალედური ანგარიში 1325 რეზოლუციის 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ. ანგარიში წარადგინა **მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს** უფროსმა, ნატალია ჯალიაშვილმა

- 2018 წლის აპრილში გამართულ სხდომაზე, საბჭომ მოისმინა **შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის** ანგარიში ფემიციდის და ძალადობის შემთხვევების პრევენციის თაობაზე

- 2018 წლის მანძილზე, საბჭოს სამდივნომ მოისმინა **სამოქალაქო საზოგადოების ჩრდილოვანი ანგარიშები** და ის წერილობითი სახით მიეწოდა საბჭოს წევრებს, თუმცა ოფიციალური რეკომენდაციები ამ კუთხით საბჭოს არ გამოუცია.

31 პარლამენტის რეგლამენტის პროექტი, 154-ე მუხლი, https://goo.gl/gja84a

2017 წლის 2 მაისს გაიმართა საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის პრეზენტაცია. 2017 წლის 13 ივნისის სხდომაზე ფემიციდის შემთხვევებზე სამართლებრივი რეაგირების გამოწვევებზე, ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე გენდერულად მოტივირებული მკვლელობების გამოძიების შესახებ პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ინფორმაცია წარადგინეს.[32]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით საბჭოს უწყებებისათვის რეკომენდაციით არ მიუმართავს.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს წევრების მიერ გაიგზავნა სადეპუტატო კითხვა საქართველოს მთავარ პროკურორთან და შინაგან საქმეთა მინისტრთან 2017 წლის აპრილში მომხდარ ფემიციდის შემთხვევასთან დაკავშირებით. ასევე 2017 წლის დეკემბერში საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა 3 სადეპუტატო კითხვა გააგზავნა ადგილობრივ დონეზე გენდერულ საკითხებზე მომუშავე საჯარო მოსამსახურეების თემაზე.[33]

4.5 საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა

საბჭოს საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვანია განხორციელებული აქტივობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის. მიმდინარე მოწვევის პერიოდში, პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე შეიქმნა სპეციალური ველი საბჭოს შესახებ. ანგარიშებთან და განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებთან ერთად ვებგვერდზე ქვეყნდება საბჭოს სხდომის ოქმები. გარდა ამისა, მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში 2 კვარტალური ბიულეტენი გამოიცა.

ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პერიოდული ანგარიშების წარდგენა საზოგადოებისათვის, ამ მხრივ საბჭო პერიოდულად წარმოადგენს ინფორმაციას სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე, რომლებიც განთავსებულია პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში დადებითად შეფასდა საბჭოს ღიაობისა და გამჭვირვალობის ხარისხი.

თავი 5. საერთაშორისო პრაქტიკა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ

ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ძირეული დებულება და იმავდროულად ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებაა, რომელიც რომის ხელშეკრულებაშიც[34] (1957 წლიდან) იყო გათვალისწინებული.

32 პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ 6 თვის საქმიანობის ანგარიში წარადგინა, 13 ივნისი 2017, https://goo.gl/2SHpiK

33 სადეპუტატო კითხვები: https://goo.gl/m2qhs5; https://goo.gl/8zGsxo; https://goo.gl/XbN4LP

34 The Treaty of Rome, 25 March 1957, https://goo.gl/oyiR1K

გენდერული თანასწორობის კუთხით პროგრესისთვის მნიშვნელოვანია სამი ასპექტი: კანონმდებლობა, რომელიც თანასწორობას ეფუძნება, გენდერული მეინსტრიმინგი[35] და სპეციფიური მექანიზმები, რომლებიც ქალთა წინსვლას ემსახურება.

ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის სტრატეგიაში 2016-2019, ევროკომისია აღნიშნავს, რომ აუცილებელია ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩოებით მოხდეს დარეგულირება, მონიტორინგისა და შეფასებების ასახვა შესაბამის დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია გაიმართოს პერიოდულად დიალოგი ბიზნეს სექტორთან, სოციალურ პარტნიორებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.[36]

2018 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავა და ერთხმად დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ოთხწლიანი დოკუმენტი[37], რომლის მიზანს წარმოადგენს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვა და მუდმივმოქმედი მექანიზმების წახალისება. სტრატეგია გამოყოფს ორი ძირითად ინსტიტუტს:

- გენდერული თანასწორობის კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს კომიტეტებისა და ინსტიტუტების საქმიანობაში[38] გენდერული პოლიტიკის დანერგვას.

- საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებისათვის კომიტეტი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში (ეროვნულ დონეზე) გენდერულ საკითხებზე უფლებამოსილ (საკონტაქტო) პირებს უწევს კოორდინაციას [39].

- გენდერული თანასწორობის მომხსენებლების (Rapporteurs) ინსტიტუტი, რომელიც შედგება მმართველი კომიტეტისა და ევროპის საბჭოს სხვა სახელმწიფოთაშორის სტრუქტურების წევრებისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის დანიშნულებაა გენდერული თანასწორობის პრინციპის დანერგვა სტრუქტურების საქმიანობაში. აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად ისინი იყენებენ მათთვის შემუშავებულ სახელმძღვანელოს[40], რომელიც შეიცავს სპეციფიურ მეთოდოლოგიებსა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.

საერთაშორისო პრაქტიკის ნაწილში განხილულია ის ქვეყნები, რომელთაც საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ მსოფლიოს მასშტაბით გენდერული თანასწორობის საკითხში. გლობალური გენდერული განსხვავებების ინდექსის ყოველწლიური ანგარიში (Global Gender Gap Index), ადგენს გენდერული ნიშნით გამოვლენილ ხარვეზებს, უთანასწორობას და ასევე დინამიკას გარკვეული პერიოდისათვის. ანგარიშში საქართველოს, 2017 წლის მონაცემებით 94-ე ადგილი უკავია, ხოლო პოლიტიკური გაძლიერების მიმართულებით 114-ე ადგილზეა.

35 გენდერული მეინსტრიმინგი გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების საერთაშორისოდ აღიარებული სტრატეგიაა. იგი გულისხმობს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობას და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის გატარებას, მარეგულირებელი ღონისძიებების და ხარჯების პროგრამების მომზადებას, განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებას. იხ. https://goo.gl/eDCpEB

36 European Commission, Strategy for equality between women and men 2016-2019, https://goo.gl/pxW8ga

37 Council of Europe gender equality strategy 2018-2023, https://goo.gl/SMEBxk

38 Council of Europe, Gender Equality Commission, https://goo.gl/sMXYcL

39 Council of Europe, Gender Equality Strategy 2018-2023, p. 37, https://goo.gl/jLT9m5

40 Council of Europe, Supporting Gender Equality Rapporteurs (GERs) in their role, https://edoc.coe.int/en/index.php?controller=get-file&freeid=6934

დიაგრამა 5. 2015, 2016 და 2017 წლებში საქართველოს მაჩვენებელი გლობალური გენდერული განსხვავების ინდექსის ყოველწლიურ ანგარიშში და პოლიტიკური გაძლიერების მიმართულებით



გენდერული განსხვავებების ინდექსის ყოველწლიურ ანგარიშებში საუკეთესო მაჩვენებელი ისლანდიას აქვს.

5.1 ისლანდია

გენდერული თანასწორობის საკითხებზე სპეციალური სტრუქტურა	**ფუნქციები**
სოციალური უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების სამინისტრო	პასუხისმგებელია **ქალთა და მამაკაცთა თანასწორი სტატუსისა და უფლებების შესახებ**[41] კანონის აღსრულებაზე. კანონის მიზნებია: ქალისა და მამაკაცის გენდერული როლების შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების აღმოფხვრა, ქალის პოზიციის გაუმჯობესება და შესაძლებლობების ზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კვლევითი საქმიანობის წარმოება, გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.
გენდერული თანასწორობის საბჭო[42]	მჭიდროდ თანამშრომლობს გენდერული თანასწორობის ცენტრთან, შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის პრინციპების წახალისების მიმართულებით. ხელმძღვანელობს **გენდერული თანასწორობის ფორუმის** ორგანიზებას, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება და მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის საკითხებზე დისკუსიის წახალისებას. ფორუმის ფორმატი ასევე ითვალისწინებს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული სიტუაციისა და გამოწვევების შეფასებას, რომელზეც **სოციალური უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების მინისტრი მოხსენებას წარადგენს** ანგარიშის სახით. ფორუმზე დასწრება თავისუფალია ყველა მსურველისთვის.
გენდერული თანასწორობის ცენტრი[43]	ცენტრს გენდერული საკითხების რეგულირებისა და გენდერული თანასწორობის საკითხების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ინსტიტუტებს, კომპანიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ევალებათ ცენტრის მიერ გამოთხოვილი ნებისმიერი ინფორმაციის მისთვის დროულად მიწოდება, ხოლო მიუწოდებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინანსური სანქციები.[44]

41 Act on Equal Status and Equal Rights of Women and Men, No. 10/2008: https://bit.ly/2J0fd3C

42 საბჭოს წევრობის კანდიდატებს წარადგენენ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციები, ქალთა ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

43 ცენტრის დირექტორს 5 წლის ვადით ნიშნავს სოციალური უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების მინისტრი და მასვე ექვემდებარება.

44 დღიური გადასახადი 50,000 ისლანდიური კრონა (445 აშშ დოლარი)

5.2 ფინეთი

გენდერული თანასწორობის საკითხებზე სპეციალური სტრუქტურა	**ფუნქციები**
მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის სამუშაო ჯგუფი	სამინისტროს საქმიანობასა და კანონპროექტების შემუშავების პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხის შეფასება.
მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი[45]	სამინისტროებს შორის კოორდინირება, გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმისა და საერთაშორისო პრაქტიკის მონიტორინგი.
დასაქმებისა და თანასწორობის საპარლამენტო კომიტეტი	გენდერულ თანასწორობასთან და სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული საკითხების განხილვა[46].

5.3 დანია

გენდერული თანასწორობის საკითხებზე სპეციალური სტრუქტურა	**ფუნქციები**
გენდერული თანასწორობის სამინისტრო	უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის პრინციპების დაცვას სახელმწიფოს საქმიანობაში და საკანონმდებლო პროცესში.
პარლამენტის გენდერული თანასწორობის კომიტეტი	განიხილავს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ კანონპროექტებსა და საკანონმდებლო წინადადებებს და ამავე მიმართულებით აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას[47].

თავი 6. შეფასება და რეკომენდაციები

გენდერული თანასწორობის საბჭო საანგარიშო პერიოდში მუშაობდა საკანონმდებლო ინიციატივებზე და მათ ანალიზზე, ასევე ისმენდა მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის შესახებ პერიოდულ ანგარიშებს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

---

45 ფუნქციონირებს ევროსაბჭოს მთავრობის სოციალური დაცვის და ჯანმრთელობის სამინისტროში.

46 აღსანიშნავია, რომ პარლამენტში ასევე არსებობს პარლამენტარი ქალების არაფორმალური ქსელი. აღნიშნული გაერთიანების მიზანია საპარლამენტო სივრცეში ქალთა უფლებების შესახებ დისკუსიების წახალისება.

47 გენდერული თანასწორობის აქტი (193/2000), რომელიც საჯარო მოხელეებს ავალდებულებს საქმიანობის ყოველ ეტაპზე უზრუნველყონ გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვა, მათ შორის კანონპროექტების შემუშავების პროცესის დროს.

არსებული რეგულაციებისა და საბჭოს საქმიანობის შესახებ მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესებას საჭიროებს რამდენიმე მიმართულება, კერძოდ:

- კანონმდებლობაში გენდერული საბჭოს ვალდებულებად უნდა განისაზღვროს კანონმდებლობის გენდერული ზეგავლენის მიმართულებით ანალიზის განხორციელება. მიზანშეწონილია საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება, რათა მან სრულფასოვნად შეძლოს მნიშვნელოვანი კანონპროექტების/რეფორმების ანალიზი;

- საბჭომ გენდერული თანასწორობის სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია და მონიტორინგის შედეგები პერიოდულად უნდა წარუდგინოს პარლამენტს;

- პარლამენტის რეგლამენტის ახალ პროექტში განმარტებითი ბარათის ერთ-ერთ კომპონენტად უნდა განისაზღვროს გენდერულ თანასწორობაზე ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- მიზანშეწონილია რომ საბჭომ, კომიტეტების მიერ კანონპროექტებზე განხორციელებული გენდერული ზეგავლენის ანალიზის შესახებ პერიოდული ინფორმაცია პარლამენტის ვებგვერდზეც გამოაქვეყნოს;

- ბიუჯეტის პროექტის გენდერული ანალიზი ყოველწლიურად უნდა ხორციელდებოდეს;

- საბჭომ უნდა გააძლიეროს აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობა, გასცეს რეკომენდაციები და აკონტროლოს მათი შესრულება.

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები იზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციებს და ამასთან ერთად უთითებენ იმ ასპექტებზე, რომლებიც გაძლიერებას საჭიროებს მომავალში საბჭოს საქმიანობის ფარგლებში, კერძოდ:

- პარლამენტში უნდა ჩატარდეს გენდერული აუდიტი;

- ერთიანი პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით უნდა გაძლიერდეს საბჭოს, როგორც მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქცია;

- საბჭომ გააძლიეროს პარლამენტის წევრებთან გენდერული თანასწორობის შესახებ საკითხების ადვოკატირება, (მაგალითად დასახელდა გენდერული კვოტირება);

- საბჭოს საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის მიზანშეწონილია გაიზარდოს საბჭოს ადამიანური რესურსი, რათა სათანადოდ მოხდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელება, მათ შორის კანონმდებლობისა და ახალი ინიციატივების გენდერული ანალიზი;

- საბჭოს დღის წესრიგში კვლავ უნდა იყოს გენდერულ კვოტირებაზე, სისხლის სამართლისა (ე.წ. „სტამბოლოს კონვენციიდან გამომდინარე”) და შრომის კოდექსებში (მათ შორის სექსუალური შევიწროების შესახებ) ცვლილებებზე მუშაობის საკითხი. ასევე ცვლილებებს საჭიროებს საოჯახო სამართლისა და ქალთა სოციალური და ეკონომიკური მიმართულებით გარკვეული საკითხები.